



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო

1,011 საწარმოს მიერ გადახდილი გადასახადები

მიღებული შედეგები: 2013 წ. - 2017 წ.

1,011 საწარმოო მიერ გადახდილი გადასახადები

- 2013-2017 წლებში “შელავათიანი აგროკრედიტის” და “შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის” ფარგლებში დაფინანსდა 166 ახალი საწარმო - ითვლება მხოლოდ ახალი საწარმოები 100,000 ლარზე მეტი აგროკრედიტით (აქედან 29 ახალი საწარმო - შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში). ამ ახალი საწარმოების თანადაფინანსებამ შეადგინა 60 მლნ. ლარი (აქედან - 15 მლნ. ლარი გრანტის სახით).
- ახალ საწარმოთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების სახით შეტანილი დამატებითი თანხის დათვლისას საწარმოთა 2015-2017 წ.წ. გადახდილი გადასახადების სიდიდეები შედარდა 2014 წელთან (ეს განაპირობა იმ ფაქტმა, რომ 2013-2014 წლებში საწარმოების უმეტესობა არ იყო სრულად ამოქმედებული და მათ მიერ ბიუჯეტში შეტანილი თანხები მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა წინა წლებში დაფიქსირებული მონაცემებისგან).

წელი/პერიოდი	ახალი საწარმოები: სახელმწიფო თანადაფინანსება (აკუმულირებული) (ლარი)	საწარმოთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით შეტანილი გადასახადები (აკუმულირებული) (ლარი)
2013	1,024,942	-
2013-2014	12,068,185	-
2013-2015	31,178,939	9,831,591
2013-2016	48,294,590	21,650,377
2013-2017	60,318,959	41,457,998

166 ახალი საწარმოს სახელმწიფო თანადაფინანსების შედეგი ბიუჯეტში შეტანილ გადასახადებზე აისახა 2015 წლიდან და შეადგინა 41 მლნ. ლარით მეტი.
თანადაფინანსების ერთმა ლარმა მოახდინა 0.69 ლარი გადასახადის გენერირება.

წელი/პერიოდი	გადაიარაღებული საწარმოები: სახელმწიფო თანადაფინანსება (აკუმულირებული) (ლარი)	საწარმოთა მიერ სახელმწიფო ბიუჯეტში დამატებით შეტანილი გადასახადები (აკუმულირებული) (ლარი)
2013	1,679,507	2,879,208
2013-2014	13,582,174	11,996,451
2013-2015	34,575,781	22,728,335
2013-2016	54,551,506	26,649,828
2013-2017	74,255,073	31,487,010

- ამავე პროექტების ფარგლებში გაფართოვდა/გადაიარაღდა 845 არსებული საწარმო - ითვლება მხოლოდ საწარმოები 100,000 ლარზე მეტი აგროკრედიტით. ამ საწარმოებისთვის კრედიტის პროცენტის თანადაფინანსებამ შეადგინა 74 მლნ. ლარი.
- 2013-2017 წლებში აღნიშნულმა საწარმოებმა ბიუჯეტში გადასახადების სახით გადაიხადეს 31 მლნ. ლარით მეტი თანხა.
თანადაფინანსების ერთმა ლარმა მოახდინა 0.42 ლარი გადასახადის გენერირება.

ჯამურად 1,011 საწარმოში (166 ახალი, 845 გაფართოებული/გადაიარაღებული) სახელმწიფოს მიერ 2013-2017 წლებში ინვესტირებულია 134,574,032 ლარი; ამ საწარმოებმა სახელმწიფო დაფინანსებამდე პერიოდებთან შედარებით 72,945,008 ლარით მეტი გადასახადი გადაიხადეს - სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ყოველი 1 ლარის თანადაფინანსებაზე ბიუჯეტში გადასახადების სახით დაფინანსებულმა საწარმოებმა უკვე გადაიხადეს 0.54 ლარი.

